დემოკრატიული კონსტიტუციები პირველი მსოფლიო ომის შემდეგ: 1919 წლის ვაიმარის კონსტიტუციისა და 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის შედარებითი ანალიზი

ანნა აბაშიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გერმანიისმცოდნეობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ოლივერ რაისნერი, პროფესორი, დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოუქვეყნებელ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანნა აბაშიშვილი

13.06.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი პირველი მსოფლიო ომის შემდგომი დემოკრატიზაციის ტალღის დროს შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციისა და ვაიმარის რესპუბლიკის 1919 წლის კონსტიტუცის ისტორიულ-სამართლებრივ შედარებით ანალიზს ეძღვნება. კონსტიტუციები გაანალიზებულია პოსტ-იმპერიული ტრანსფორმაციისა და სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიების გავლენების ჭრილში. ნაშრომში გამოყენებული ისტორიული ინსტიტუციონალიზმის თეორიული ჩარჩო და შედარებითი კონსტიტუციონალიზმის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები შესაძლებლობას იძლევა, საკონსტიტუციო მოდელები არა იზოლირებულად, მხოლოდ და მხოლოდ ნორმატიულ სამართლებრივ ტექსტებად, არამედ შიდა და გეოპოლიტიკური კონტექსტების, ისტორიული გამოცდილებების გათავალისწინებით შეფასდეს.

კვლევა აანალიზებს, თუ როგორ ითარგმნა მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიების მსგავსი იდეოლოგიური საწყისები განსხვავებულ ინსტიტუციურ დიზაინში: გერმანიაში - ძლიერი პრეზიდენტის, ხოლო ქართულ მოდელში - პარლამენტის პრიმატში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან მიმართებით. კვლევამ დაადგინა, რომ აღნიშნული საქართველოსა და გერმანიის განსხვავებული ისტორიული გამოცდილების, ნაციონალური ტრავმების, გამოწვევების, კონსტიტუციის ავტორთა განსხვავებული ხედვებისა და შიშების შედეგი იყო. კვლევაში ასევე განხილულია ინოვაციური სოციალურ-ეკონომიკური უფლებების კატალოგი, რაც ორივე კონსტიტუციას ეპოქის მოწინავე, პროგრესულ სამართლებრივ ფენომენად აქცევს. ამასთან, ნაშრომში კრიტიკულად ფასდება კონსტიტუციების პრაქტიკაში მოქმედებაც - საქართველოს კონსტიტუციის პოტენციური მედეგობის საკითხი.

საკვანძო სიტყვები: *ვაიმარის კონსტიტუცია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შედარებითი კონსტიტუციონალიზმი, ისტორიული ინსტიტუციონალიზმი, სოციალ-დემოკრატია, ინსტიტუციური დიზაინი, ხელისუფლების დანაწილება.*

Abstract

This paper is dedicated to a historical-legal comparative analysis of the 1921 Constitution of the Democratic Republic of Georgia and the 1919 Constitution of the Weimar Republic, both created during the wave of democratization following the First World War. The constitutions are analyzed through the prism of post-imperial transformation and the influences of social-democratic ideologies. The theoretical framework of historical institutionalism and the methodological tools of comparative constitutionalism utilized in this study allow for the evaluation of these constitutional models not in isolation as mere normative legal texts, but rather by taking into account domestic and geopolitical contexts, as well as historical experiences.

The study analyzes how the similar ideological foundations of the ruling social-democratic parties translated into distinct institutional designs: a strong presidency in Germany, versus the primacy of parliament over the executive branch in the Georgian model. The research establishes that this divergence was the result of differing historical experiences, national traumas, and challenges between Georgia and Germany, as well as the varying visions and fears of the constitutions' framers. Furthermore, the paper examines the innovative catalog of social and economic rights, which renders both constitutions advanced, progressive legal phenomena of their era. Finally, the study critically evaluates the practical application of these constitutions, exploring the question of the potential resilience of the Georgian Constitution.

Keywords: *Weimar Constitution, 1921 Constitution of Georgia, comparative constitutionalism, historical institutionalism, social democracy, institutional design, separation of powers.*